ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N59

ქ.თბილისი

19 აგვისტო , 2025 წელი
15 საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან არველაძე	ნიკოლოზ კახეთელიძე,
ანა კილაძე	კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე	შალვა ოგბაიძე
ვიტალი ონიანი,	გურამ ოქროპირიძე
ნინო ვარდოსანიძე	ანა კაკაბაძე
ნინო რუხაძე	თამარ ჩახვაშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე	ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	მარიამ გელაშვილი
ოთარ გრიგოლია	ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე	კონსტანტინე ზარნაძე
მარიამ ზაქარიაშვილი	მიხეილ კაკაურიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - გიორგი კობიაშვილი; მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსი - გოგი ჩიქოვანი; მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - თამარ გოგიტიძე; ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი - ნინო ბაგაშვილი;

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე, ზურაბ აბაშიძემ. დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ფერისცვალების დღესასწაული. აქვე, კახი კალაძეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ 4 ოქტომბერს, თბილისელების მხარდაჭერით, გამარჯვებას ვიზეიმებთ. „ჩვენი გუნდის მთავარ მიღწევად შეგვიძლის მივიჩნიოთ ის გაკეთებული საქმეები, რომლებიც ზურგს გვიმაგრებს, ამასთანავე, უკვე დაწყებული საქმეების გაგრძელება და ბოლომდე მიყვანა, გვჯერა, კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს თბილისის განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობას“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა:

ოთარ გრიგოლია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მმართველი პარტიის მიერ თბილისის მერობის კანდიდატის და მაჟორიტარობის კანდიდატების დასახელებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ კახა კალაძე საუკეთესო კანდიდატია, მან, ქალაქის

ისტორიაში, საუკეთესო ტრადიცია და მემკვიდრეობა, დღევანდლამდე მოიტანა. მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც დღეს ხორციელდება, მათ შორის სატრანსპორტო რეფორმა, პროექტები ქალაქის გამწვანების მიმართულებთ, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა, ამ რეფორმებმა ფუნდამენტალურად შეცვალა ქალაქი. ასევე, წარმატება უსურვა ყველა დასახელებულ კანდიდატს: „თითოეული მათგანი არის ღირსეული ადამიანი და დარწმუნებული ვარ, ისინი საკუთარ სამაჟორიტარო უბნებში გაიმარჯვებენ"-განაცხადა ოთარ გრიგოლიამ. ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. მისი თქმით, მმართველმა პარტიამ სწორად აირჩია მშვიდობის გზა და უარი თქვა ესკალაციასა და სომარ პროცესებზე. „ჩვენ, ყველამ კიდევ ერთხელ დავინახეთ, თუ როგორ სწორ გზას დაადგა საქართველო 2022 წლის თებერვალში, როდესაც ჩვენ ავირჩიეთ მშვიდობის, განვითარების და კეთილდღეობის გზა და უარი ვთქვით გაუგებარ ესკალაციასა და სომარ პროცესებზე. ჩვენ დავინახეთ ამის შედეგები გასულ დღეებში. ძალიან გვიმძიმს იმის ყურება, თუ რა ხდება ჩვენი მოძმე უკრაინელი ხალხის თავს. გვინდა ვუსურვოთ უკრაინელ ხალხს და მსოფლიოს მშვიდობა და ვფიქრობ, რომ საქართველომ, როგორც ერთმა ქვეყანამ, საკმაოდ ძლიერი და მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა უკრაინას."

ნინო ვარდოსანიძემ, მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არჩევანის გაკეთება მარტივია, რადგან ქართულმა ოცნებამ მერობის კანდიდატად წარადგინა კახა კალაძე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს განაცხადს და ამბიციას, რომ თბილისმა განაგრძოს განვითარება. „კახი კალაძის მერობის პირობებში თბილისი მეტად გალამაზდა, უფრო მწვანე და მოწესრიგებული გახდა. ამასთან, დაიწყო იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც დღემდე, ჯერ ისევ, პრობლემად რჩება, ასეთია, მაგალითად: ავარიული სახლები, წყალმომარაგება, მიწისქვეშა კომუნიკაციების და სხვა. რომელთა სრულად მოგვარებას, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, დრო ჭირდება. ბუნებრივია, მათზე ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება." როგორც ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, ძალიან ბევრი პროექტია განხორციელებული, რასაც ყოველდღიურად გრძნობენ დედაქალაქის მცხოვრებლები. მისი თქმით, სხვადასხვა პროგრამების საშუალებით მუნიციპალიტეტი ძალიან ბევრ თანამოქალაქეს ეხმარება. „მომდევნო ოთხ წელიწადში მეტი სიკეთე ელოდება თბილისს და მთელ საქართველოს"- განაცხადა მან.

ლევან არველაძემ, დედაქალაქის მოქმედ მერს, კახა კალაძეს, რვა წლის მანძილზე გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და მომავალ ადგილობრივ არჩევნებში მას და 25 მაჟორიტარ კანდიდატს წარმატება უსურვა.

ნათია მოდებაძემ თბილისის მერობის კანდიდატს, კახა კალაძეს და იმ ადამიანებს, რომლებიც არჩევნების შემდეგ თბილისის საკრებულოს წევრები გახდებიან, წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ 4 ოქტომბერს ამომრჩევლები ჩვეულ გონიერებას გამოიჩენენ და მხარს დაუჭერენ გუნდს, რომელმაც ქვეყანას მრავალწლიანი მშვიდობა მოუტანა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: თამარ გოგიტიძე

3. მისამართებზე: ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ,25/29) , ს/კ. №01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

4. მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №125 ა (ს/კ. №01.14.02.025.062) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის, შპს ,,მ2 ნუცუბიძეზე 2"-ის (ს/ნ. 405374982) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

5. მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძისქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემივალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

7. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

8. ქალაქ თბილისში, დასახლება ზემო ალექსეევსკი, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.16.003.414; №01.19.16.003.412) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

9. ,,ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №204 განკარგულებით დამტკიცებული

განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

10. ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, №46; №48-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.19.39.031.004; №01.19.39.031.175) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

11. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, №2 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.053; №01.10.07.052; №01.10.07.007.051; №01.10.07.007.050) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №296 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

12. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.559) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

13. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №47-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.008.135.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

14. ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №45-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.116.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

15. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩერნიროსტერისთვის" (ს/ნ.416377860) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

16. ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №26/1-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.125.053) პირდაპირი განკარგვის წესით მამუკა ნოზაძისთვის (პ/ნ. 01004001820) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

17. ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №10-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.014.022) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა

ნოზაძისთვის (პ/ნ. 01024008190) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

18. ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №29-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.097) და 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.090) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ავერსის კლინიკისთვის" (ს/ნ. 212002580) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და მუჰსინ კურტს (პ/ნ: 01017034320; უფლებამონაცვლე: შპს „სარე დეველოპმენტი" (ს/ნ. 405566472)) შორის, 2017 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-375-40-21567 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს" (ს/ნ. 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-482-1-23724 ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2020წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

24. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აპრილის №25.617.691 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2025 წლის 30 ივლისს გაფორმებული „2021 წლის 29 აპრილის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებითა და 2023 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი კობიაშვილი

26. სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

მომხსენებელი: კახა ლაბუჩიძე

27. სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ;

მომხსენებელი: კახა ლაბუჩიძე

28. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2025 წლის 6 თვის (01.01.2025-01.07.2025) მუშაობის ანგარიში;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1.წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ; საკითხი სხდომაზე წარადგინა მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსმა გოგი ჩიქოვანმა და განმარტა, რომ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, წინასაარჩევნოდ განსაზღვროს ადგილები, სადაც დასაშვებია ან იკრძალება საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №50-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; საკითხი სხდომაზე წარადგინა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ, თამარ გოგიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილება შედის გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებზე. „ოკრელიზუმაბის“ კანქვეშა ფორმის დანერგვა, გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისთვის, მკურნალობის თანამედროვე ფორმებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ითვალისწინებს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3.მისამართებზე: ქ. თბილისი, კოსმონავტების ქ №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142); ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), ქ. თბილისი, აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმისმასივის II კვარტლისმიმდებარედ, (ნაკვ,25/29) , ს/კ. №01.10.10.025.029), ქ. თბილისი, ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) - არსებული სამშენებლო ობიექტების დასრულებისთვის დაინტერესებული პირის - შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ. 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, საკითხი ეხება დაუმთავრებელ მშენებლობებს. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის მიმართ“ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებებs. დოკუმენტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დაგეგმარების შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდეს შეთანხმება და ნებართვის გაცემა აღნიშნული მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4.მისამართზე - ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა №125 ა (ს/კ. №01.14.02.025.062) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის, შპს ,,მ2 ნუცუბიძეზე 2"-ის (ს/ნ. 405374982) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ დაუსრულებელი მშენებლობის დასრულებისთვის, დოკუმენტის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დაგეგმარების შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მოხდეს შეთანხმება და ნებართვის გაცემა აღნიშნული მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღებისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5.მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძისქ. №55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ დაუსრულებელი მშენებლობის შედეგად, საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულების დანართი 1-ით გათვალისწინებულ პირებს ემატება მშენებლობით დაზარალებული პირი ირაკლი ჭურღულია და ვალდებულების შესრულებისთვის გადასაცემი თანხა განისაზღვრება 127602 ამერიკული დოლარით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6.კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №25-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.17.13.045.217, ფართობი - 6 043 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ტერიტორიაზე მოთხოვნილია კ2 გადამეტება 4.6-5.1-მდე და სიმაღლის რეგულაციებისგან გათავისუფლება. აღნიშნულის სანაცვლოდ, მესაკუთრე გამოთქვამს მზაობას, ბიუჯეტში გადაიხადოს 2000000 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7.„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულია კომისიაზე, არცერთი პოზიცია არ გადადებულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8.ქალაქ თბილისში, დასახლება ზემო ალექსეევსკი, კახეთის გზატკეცილსა და სამგორის ქვემო მაგისტრალურ არხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.19.16.003.414; №01.19.16.003.412) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართობია დაახლოებით 17000 კვ.მ. ტერიტორია ვითარდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა, სამრეწველო ზონა 1-ის და სარეკრეაციო ზონა 1-ის ფუნქციებით. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსდება 3 შენობა-ნაგებობა. მაქსიმალური სართულიანობა - 3 სართული. გათვალისწინებულია შოურუმის, ოფისისა და დამხმარე საწყობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9.„ქ. თბილისში, ბაღდადის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის №204 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ გრგ-ს კორექტირება გულისხმობს 86 კვ.მ მიწის ნაკვეთის დამატებას დამტკიცებულ გრგ-ში. საპროექტო ზონირება გახლავთ საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2. დამტკიცებული ფართობი - 8400 კვ.მ. ახალი ფართობი იქნება 8486 კვ.მ. სართულიანობა არ იცვლება. განთავსდება ორი 22 სართულიანი შენობა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10.ქალაქ თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა, №46; №48-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: №01.19.39.031.004; №01.19.39.031.175) და

დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართობია 19000 კვ.მ. ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1. აღნიშნული ზონირებით განთავსდება 5 შენობა-ნაგებობა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფუნქციით. მაქსიმალური სართულიანობა - 19 სართული.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11.„ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის დასახლებაში, IV მიკრორაიონში, №2 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.10.07.007.053; №01.10.07.052; №01.10.07.007.051; №01.10.07.007.050) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №296 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა, ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ გრგ-ს კორექტირება მოიცავს ორ საკითხს: ერთი სექტორის გაყოფას ორ საკადასტრო ერთეულად და საბავშვო ბაღის ფუნქციის ცვლილებას, თუმცა, კომისიის რეკომენდაციით, გადაწყდა, რომ გავიდეს მხოლოდ საკადასტრო ერთეულებად სექტორის გაყოფა და საბავშვო ბაღის ფუნქცია დარჩეს უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429.01.559) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა,რომ მოქალაქე ზაზა ისაკაძეს საკუთრებაში, ერთ ლარად, გადაეცემა უძრავი ქონება 24 კვ.მ გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2007 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13.ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №47-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.008.135.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა,რომ მოქალაქე ლელა გოგოლაურს საკუთრებაში, ერთ ლარად, გადაეცემა უძრავი ქონება 75 კვ.მ გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 1969 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14.ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №45-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.116.01.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ მოქალაქე ლია მინდიაშვილს საკუთრებაში, ერთ ლარად, გადაეცემა უძრავი ქონება 23 კვ.მ. მოქალაქე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს 2008 წლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15.ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.032.024) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩერნიროსტერისთვის" (ს/ნ.416377860) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ შპს „ჩერნიროსტერს" იჯარით გადაეცემა 4061 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 20 კვ.მ მიწის ნაკვეთი ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის ვადა განისაზღვრება 2028 წლის 28 სექტემბრამდე, ყოველწლიური საიჯარო ქირა - 4800 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16.ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №26/1-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.125.053) პირდაპირი განკარგვის წესით მამუკა ნოზაძისთვის (პ/ნ. 01004001820) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ მამუკა ნოზაძეს იჯარით

გადაეცემა 2 კვ.მ მიწის ფართობი, კიბის ფუნქციონერების მიზნით. საიჯარო ვადა -5 წელი, ქირა -288 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17.ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №10-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.14.014.022) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ნოზაძისთვის (პ/ნ. 01024008190) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ შალვა ნოზაძეს იჯარით გადაეცემა 5 კვ.მ მიწის ნაკვეთი, კიბის ფუნქციონერების მიზნით. საიჯარო ვადა -5 წელი, ქირა -720 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე -22

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18.ქალაქ თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №29-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.097) და 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.090) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ავერსის კლინიკისთვის" (ს/ნ. 212002580) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ „ავერსი კლინიკას" იჯარით გადაეცემა ორი 10 და 30 კვ.მ მიწის ნაკვეთი, ჭიშკრის ფუნქციონერების მიზნით. საიჯარო ვადა -5 წელი, ყოველწლიური საიჯარო ქირა -5760 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და მუჰსინ კურტს (პ/ნ: 01017034320; უფლებამონაცვლე: შპს „სარე დეველოპმენტი" (ს/ნ. 405566472)) შორის, 2017 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-375-40-21567 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ 2017 წლის 24 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულებით „სარე დეველოპმენტს" საკუთრებაში გადაეცა 159 კვ.მ მიწის ნაკვეთი კომერციული დანიშნულების ობიექტის მშენებლობის პირობით. 2025 წლის განცხადებით „სარე დეველოპმენტმა" მოითხოვა შეზღუდვის მოხსნა. წარმოდგენილია

სამხარაულის წერილი, რომლის მიხედვითაც ქონების განკარგვის დროს საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის, ამავე მიწის ნაკვეთზ,ე არსებული პირობის გარეშე, დადგენილ ფასებს შორის სხვაობა არ ფიქსირდება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ინდუსტრიულ ქალაქს" (ს/ნ. 404580191) შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-482-1-23724 ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ შპს „ინდუსტრიულმა ქალაქმა" მოითხოვა პროექტის ვადის გახანგრძლივება. ხოლო პრივატიზირებულ ქონებაზე დარეგისტრირდება ქალაქგეგმარებითი შეზღუდვა, ხელშეკრულების დანართი 23-ით გათვალისწინებული კატეგორიების შესაბამისად, განვითარდება აღნიშნული ტერიტორია. ინვესტიცია იქნება 8000000 ლარის ღირებულების.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს" (ს/ნ: 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში" ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ სპორტული კომპლექსის მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღების ვადა იზრდება 3 თვის ვადით. არაშენებული შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის მოწყობის ვადა განისაზღვრება 2025 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „ალმას" (ს/ნ. 204873388) შორის 2021 წლის 19 აგვისტოს დადებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ" ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი

სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მცირდება სარეკლამო ბანერების განთავსების ლოკაციები, 387-დან 354 ლოკაციამდე. ხოლო მარცხენა სანაპიროზე 165 ლოკაციიდან 128 ლოკაციამდე. გაუქმებული სარეკლამო ობიექტების დემონტაჟი ეტაპობრივად განხორციელდება 12 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალმას“ (ს/ნ. 204873388) შორის 2020წლის 18 ივნისს გაფორმებულ „ფეხით გადასასვლელი ხიდების მშენებლობის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმების მოწონების შესახებ; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილება ეხება ხიდების მშენებლობის ექსპლოატაციაში მიღების ვადის გაზრდას და იზრდება გადაცემული უძრავი ქონების ფართობები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებით არ იზრდება კომპანიის შემოსავალი, ხოლო პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე -23

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24.„ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის I ჩიხი, მზიურის მიმდებარედ 2572 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (სტადიონი) (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.301) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული განსაზღვრული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „7X7 ფეხბურთის ასოციაციისთვის“ (ს/ნ. 404573323) სარგებლობის უფლებით, გადაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აპრილის №25.617.691 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხის შეთანხმებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის №178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით, მზიურის მიმდებარედ უზუფრუქტის ფორმით გადაცემული 2572 კვ.მ მიწის ნაკვეთზე კომპანია ვალდებულია მოაწყოს ტრიბუნა და უზრუნველყოს გადახურვა. 2025 წლის განცხადებით, ასოციაციამ მოითხოვა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მეორეული მასალებისგან, 14 ერთეული გარე-განათების ბოძის დამატება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2025 წლის 30 ივლისს გაფორმებული „2021 წლის 29 აპრილის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებითა და 2023 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე; საკითხი სხდომაზე წარადგინა სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა, გიორგი კობიაშვილმა და განმარტა, რომ უძრავ ქონებაზე განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში, ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზე, ერთი პირი განისაზღვრა ქონების მიმღებ პირად. ჯამში დარჩენილია 27 პირი. ხოლო, აღნიშნულ მისამართზე დაახლოებით 90 პირს აქვს ქონება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26.სსიპ ქალაქ თბილისის №176 საჯარო სკოლისთვის აკაკი შანიძის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ; საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის უფროსმა, კახა ლაბუჩიძემ და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხება 176-ე სკოლის სახელდებას და სკოლას ენიჭება აკაკი შანიძის სახელი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27.სსიპ ქალაქ თბილისის №49 საჯარო სკოლისთვის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ; საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის უფროსმა, კახა ლაბუჩიძემ და განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხება 49-ე სკოლის სახელდებას და სკოლას ენიჭება აკაკი ჩხენკელის სახელი.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა -0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2025 წლის 6 თვის (01.01.2025-01.07.2025) მუშაობის ანგარიში; სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ლევან ჯაფარიძემ, საკრებულოს წევრებს, ცნობის სახით, მიაწოდა ინფორმაცია სარევიზიო კომისიის 6 თვის მუშაობის შესახებ. (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2025 წლის 6 თვის მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 24 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი